საქართველოს უნივერსიტეტი

პატერნალისტური დამოკიდებულებები და ახალგაზრდების სამოქალაქო პასიურობა საქართველოში

კვლევის ანგარიში

2026

თბილისი, საქართველო

სარჩევი

კვლევის მიგნებების მოკლე შეჯამება 3

შესავალი 5

მეთოდოლოგია 7

ძირითადი მიგნებები 8

სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობის აღქმა 8

სად მთავრდება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და იწყება მოქალაქის როლი? 10

„აქტიური ახალგაზრდის“ აღქმა 12

სამოქალაქო პასიურობასთან დაკავშირებული გამოცდილებები 13

შიში, ეკონომიკური დამოკიდებულება და მონაწილეობის ფასი 14

„მე ერთი რას შევცვლი“ - ინდივიდუალური პასიურობიდან კოლექტიური უმოქმედობისკენ 15

ოჯახისა და გარემოცვის გავლენა 16

საგანმანათლებლო ინსტიტუტების როლი: სამოქალაქო განათლება, როგორც პასიური გადაცემა 17

სამოქალაქო ჩართულობის შესაძლო სტიმულები და ხელშემწყობი ფაქტორები 18

დასკვნა 19

კვლევის მიგნებების მოკლე შეჯამება

წინამდებარე კვლევა შეისწავლის, თუ როგორ უკავშირდება საქართველოში 18–29 წლის ახალგაზრდების სახელმწიფოს მიმართ პატერნალისტური დამოკიდებულებები მათ სამოქალაქო ქმედითობასა და პასიურობას. კვლევის ცენტრალური კითხვაა, როგორ უკავშირდება პატერნალისტური დამოკიდებულებების ფორმირება და ინტერნალიზაცია ახალგაზრდების სამოქალაქო პასიურობას საქართველოში და როგორ აღიქვამენ ახალგაზრდები საკუთარ თავს სამოქალაქო პროცესებში - როგორც სახელმწიფოსგან ზრუნვისა და დაცვის მომლოდინე სუბიექტებს თუ როგორც მოქალაქეებს, რომლებიც აცნობიერებენ საკუთარ უფლებებსა და პასუხისმგებლობას.

კვლევა ცდილობს ახსნას 2025 წლის „Gen Z სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში“ რაოდენობრივი კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც, მთავრობის როლის შეფასებისას ახალგაზრდების 46% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ადამიანები ბავშვებივით არიან და მთავრობამ მათზე მშობელივით უნდა იზრუნოს, ხოლო 40% უფრო მეტად იზიარებს მოსაზრებას, რომ მთავრობა ხალხის მიერ არის დაქირავებული და მოქალაქეები მას უნდა აკონტროლებდნენ. ამავე კვლევაში ორგანიზებულ სამოქალაქო მონაწილეობასთან შედარებით მნიშვნელოვნად უფრო გავრცელებული იყო არჩევნებში მონაწილეობა, რაც ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის არათანაბარ სტრუქტურაზე მიუთითებს.

ფოკუს ჯგუფების ანალიზი აჩვენებს, რომ ახალგაზრდების დამოკიდებულება სახელმწიფოს, მოქალაქის პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო აქტიურობის მიმართ ბევრად უფრო წინააღმდეგობრივი და მრავალშრიანია, ვიდრე პატერნალისტური და არაპატერნალისტური ორიენტაციების დაპირისპირება შეიძლება გვთავაზობდეს. დისკუსიებში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი მკაფიოდ ემიჯნება მოქალაქის, როგორც სახელმწიფოზე დამოკიდებული „ბავშვის“, წარმოდგენას და მთავრობას მოქალაქეების მიერ არჩეულ და მათ წინაშე ანგარიშვალდებულ ინსტიტუტად განიხილავს. ამავე დროს, იგივე მონაწილეები ხშირად სახელმწიფოს ანიჭებენ ძალიან ფართო პასუხისმგებლობას სოციალური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე. სწორედ ეს ერთდროული მხარდაჭერა მოქალაქის პოლიტიკური ავტონომიისა და ძლიერი მზრუნველი სახელმწიფოს მიმართ წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ მთავარ მიგნებას.

შესაბამისად, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სოციალურად მზრუნველი სახელმწიფოს მოთხოვნა და პოლიტიკური პატერნალიზმი. ახალგაზრდის მიერ სახელმწიფოსგან სოციალური დაცვის, დასაქმების პირობების, განათლების ან ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის მოთხოვნა თავისთავად არ ნიშნავს მოქალაქეობრივი ავტონომიის უარყოფას. პატერნალისტური ორიენტაცია უფრო მკაფიო ხდება მაშინ, როდესაც პრობლემის განსაზღვრა, გადაწყვეტა და მოქმედების

პასუხისმგებლობა მთლიანად სახელმწიფოზე გადადის და მოქალაქის როლი ძირითადად მოლოდინით ან მოთხოვნის გადაცემით შემოიფარგლება.

ამასთან, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ახალგაზრდების სამოქალაქო პასიურობის ახსნა მხოლოდ პატერნალისტური დამოკიდებულებებით შეუძლებელია. არაერთ შემთხვევაში მონაწილეები თავად უსვამენ ხაზს მოქალაქის აქტიურობის მნიშვნელობას, თუმცა ამავე დროს აღწერენ გარემოს, სადაც მათთვის მოქმედება უშედეგო, სარისკო ან რესურსების თვალსაზრისით შეუძლებელი ჩანს. შესაბამისად, ახალგაზრდების პასიურობის მიღმა იკვეთება რამდენიმე ერთმანეთისგან განსხვავებული მექანიზმი - სახელმწიფოზე პასუხისმგებლობის გადატანა, ინსტიტუტების მიმართ ნაკლები ნდობა, უშედეგო გამოცდილება, ეკონომიკური დამოკიდებულება, შიში, კოლექტიური მხარდაჭერის დეფიციტი და ინიციატივის არასაკმარისი წახალისება ოჯახსა და საგანმანათლებლო სივრცეში.

შესაბამისად, კვლევა გვთავაზობს სამოქალაქო პასიურობის ორ განსხვავებულ გზას. პირველი არის პატერნალისტური გზა: სახელმწიფოსთვის ფართო პასუხისმგებლობის მინიჭება თანდათან ამცირებს მოქალაქის როლის აღქმას. მეორე არის დაბლოკილი ქმედითობის გზა: ახალგაზრდა საკუთარ პასუხისმგებლობასა და მონაწილეობის მნიშვნელობას აღიარებს, მაგრამ მიიჩნევს, რომ მისი მონაწილეობა არაეფექტიანია, სარისკოა ან ძალიან ძვირი უჯდება.

შესავალი

დემოკრატიული მმართველობისთვის მნიშვნელოვანია მოქალაქეთა შესაძლებლობა, არა მხოლოდ არჩევნებში გამოხატონ არჩევანი, არამედ საზოგადოებრივი პრობლემების განსაზღვრაში, გადაწყვეტილებებზე გავლენასა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების მოთხოვნაშიც მონაწილეობდნენ. ახალგაზრდები ხშირად განიხილებიან დემოკრატიული ტრანსფორმაციებისა და სოციალური ცვლილებების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მამოძრავებელ ჯგუფად. ამავე დროს, პოსტსაბჭოთა კონტექსტში ისტორიული სახელმწიფო-ცენტრიზმი, ინსტიტუციური უნდობლობა და ეკონომიკური დამოკიდებულება შეიძლება ქმნიდეს ისეთ გარემოს, სადაც მოქალაქე საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტას პირველ რიგში სახელმწიფოსგან ელოდება.

საქართველოში ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის საკითხი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად გვევლინება. ქვეყანა უკვე დაახლოებით სამი ათწლეულია განიხილება გარდამავალ დემოკრატიად, თუმცა სოციოლოგიური კვლევები ხშირად აჩვენებს ახალგაზრდების პოლიტიკური აქტიურობის, კოლექტიური მოქმედებებისა და ფორმალური ჩართულობის შედარებით დაბალ დონეს. ფრიდრიხ ებერტის ფონდის 2023 წლის კვლევის მიხედვით, ახალგაზრდების დაახლოებით 63 პროცენტი აღნიშნავს, რომ მათი ინტერესები ეროვნულ პოლიტიკაში ნაკლებად ან საერთოდ არ არის წარმოდგენილი, ხოლო დაახლოებით 80 პროცენტი აცხადებს, რომ არ ისურვებდა პოლიტიკურ თანამდებობაზე მუშაობას. საქართველოში Z თაობის სამოქალაქო აქტივიზმის 2025 წლის კვლევაც ასახავს პოლიტიკური პროცესებისგან ახალგაზრდების ჩამოშორებას: მაშინ როცა გამოკითხულთა 76% აცხადებს, რომ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, ჩართულობა მკვეთრად ეცემა 29%-მდე საქველმოქმედო შემოწირულობებისთვის, 24%-მდე მოხალისეობისთვის, 21%-მდე პროტესტში მონაწილეობისთვის და კიდევ უფრო დაბალ 11%-მდე ონლაინ აქტივიზმისთვის.

ამავე კვლევის შედეგების თანახმად, მთავრობის როლის შეფასებისას, ახალგაზრდების 46% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ადამიანები ბავშვებივით არიან და მთავრობამ ისე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე“. შედარებით ნაკლები წილი - ახალგაზრდების 40% ამბობს, რომ „მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული: ადამიანები უნდა იქცეოდნენ, როგორც უფროსები, და უნდა აკონტროლებდნენ მთავრობას“. 11% კი არცერთ მოსაზრებას არ იზიარებს. სიღრმისეული ანალიზი აჩვენებს, რომ მთავრობის პატერნალისტურ აღქმას დასახლების ტიპი და განათლების დონე წინასწარმეტყველებს. დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდები ნაკლები ალბათობით იზიარებენ მთავრობის, როგორც მშობლის აღქმის იდეას, ვიდრე სოფლად მცხოვრები ახალგაზრდები. გარდა ამისა, საშუალოზე მაღალი განათლების მქონე

პირები ნაკლები ალბათობით მიიჩნევენ, რომ მთავრობა მშობელივით უნდა ზრუნავდეს მოქალაქეებზე, ვიდრე მათ, ვისაც საშუალო ან უფრო დაბალი განათლება აქვთ.

წინამდებარე კვლევის მიზანი სწორედ ამ რაოდენობრივად დაფიქსირებული დამოკიდებულებების შინაარსის ახსნა იყო. რას გულისხმობს ახალგაზრდა, როდესაც ამბობს, რომ მთავრობამ ხალხზე უნდა „იზრუნოს“? ნიშნავს თუ არა ეს ხელისუფლებისადმი მორჩილებას? რა პასუხისმგებლობას იტოვებს მოქალაქე საკუთარი თავისთვის? როგორ იქმნება განცდა, რომ მოქალაქის მოქმედებას აზრი აქვს ან არ აქვს? რა როლს ასრულებს ამაში ოჯახი, სკოლა, უნივერსიტეტი, თანატოლები, ეკონომიკური გარემო და ინსტიტუტებთან ურთიერთობის პირადი გამოცდილება? კვლევა ცდილობს შეისწავლოს საქართველოში ახალგაზრდებში პატერნალისტური დამოკიდებულებების ფორმირების, მათი სოციალიზაციის წყაროებისა და სამოქალაქო პასიურობასთან შესაძლო კავშირი. ძირითადი საკვლევი კითხვაა, თუ როგორ უკავშირდება პატერნალისტური დამოკიდებულებების ფორმირება და ინტერნალიზაცია ახალგაზრდების სამოქალაქო პასიურობას საქართველოში.

კვლევის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ კითხვებზე პასუხი უფრო კომპლექსურია, ვიდრე პატერნალიზმისა და ავტონომიური მოქალაქეობის მარტივი დაპირისპირება.

მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, ფოკუს ჯგუფი. სულ ჩატარდა ექვსი ონლაინ ფოკუს ჯგუფი 18–29 წლის ახალგაზრდებთან. თითოეულ ჯგუფში მონაწილეობდა ექვსი რესპონდენტი.

მონაწილეთა შერჩევისას გათვალისწინებული იყო დასახლების ტიპი (დედაქალაქი, სხვა ქალაქები და სოფლები) და ასაკობრივი ჯგუფი (18–23 და 24–29 წელი). თითოეულ ჯგუფში დაცული იყო სქესის ბალანსი. მონაწილეთა სოციალურ-ეკონომიკური პროფილი შედარებით მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს, კერძო და საჯარო სექტორში დასაქმებულ ახალგაზრდებს, ასევე უმუშევარ მონაწილეებს.

ფოკუს ჯგუფები ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული გზამკვლევის საფუძველზე. გზამკვლევი მოიცავდა ღია კითხვებს ხუთ ძირითად თემატურ ბლოკში: (1) აქტიური ახალგაზრდის ცნების გააზრება; (2) სოციალიზაციის გამოცდილებები ოჯახში, ფორმალური განათლების დაწესებულებებში (სკოლასა და უნივერსიტეტში) და თანატოლთა გარემოში; (3) სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობის აღქმა; (4) სამოქალაქო პასიურობასთან დაკავშირებული გამოცდილებები; და (5) სამოქალაქო ჩართულობის შესაძლო სტიმულები და ხელშემწყობი ფაქტორები.

გზამკვლევში ასევე ინტეგრირებული იყო ვინეტი - ჰიპოთეტური პოლიტიკური სცენარი, რომელიც ახალგაზრდული პოლიტიკის სიმბოლურ ან ფორმალურ ხასიათს აღწერდა. აღნიშნული კომპონენტი მიზნად ისახავდა მონაწილეთა რეაქციებისა და ინტერპრეტაციების უფრო სიღრმისეულ შესწავლას.

ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა ონლაინ, ZOOM პლატფორმის გამოყენებით. საველე სამუშაოები 2026 წლის 10-16 მაისს მიმდინარეობდა. მიღებული მონაცემები გაანალიზდა თემატური ანალიზის პრინციპების შესაბამისად.

მონაცემების ინტერპრეტაციისას მნიშვნელოვანია ფოკუს-ჯგუფის მეთოდის შეზღუდვების გათვალისწინება. კერძოდ, ფოკუს ჯგუფების შედეგები არ არის რაოდენობრივად წარმომადგენლობითი და მათი განზოგადება საქართველოს შესაბამის მოსახლეობაზე არ არის შესაძლებელი. შესაბამისად, ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები და ჯგუფებს შორის გამოვლენილი განსხვავებები ასახავს კონკრეტულ დისკუსიებში გამოკვეთილ თვისებრივ ტენდენციებს.

ძირითადი მიგნებები

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და 2025 წლის რაოდენობრივი კვლევის - „Gen Z სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში“ სავალე სამუშაოები 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ჩატარდა. შესაბამისად, კვლევის შედეგები უნდა განვიხილოთ 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი პოლიტიკური ვითარების ფონზე: 2024 წლის ნოემბრის ბოლოს მთავრობის მიერ ევროკავშირთან გაწევრიანების მოლაპარაკებების შეჩერების შესახებ გაკეთებულ განცხადებას ხანგრძლივი საპროტესტო აქციები მოჰყვა, რომლებშიც ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობდნენ. შემდგომ პერიოდში საჯარო ანგარიშები მიუთითებდა საპროტესტო ქმედებებთან დაკავშირებული სანქციების გამკაცრებასა და საჯარო სექტორში დასაქმებული პირების გათავისუფლების შემთხვევებზე.

ეს კონტექსტი ანალიზისთვის არსებითია სამი მიზეზით. პირველი, მონაწილეობის ფასისა და შიშის შესახებ ნარატივები (იხ. ქვეთავი „შიში, ეკონომიკური დამოკიდებულება და მონაწილეობის ფასი“) შეიძლება კონკრეტული პოლიტიკური პერიოდის რეაქციას ასახავდეს და არა მხოლოდ ზოგად კულტურულ მახასიათებელს. მეორე, პროტესტში მონაწილეობის მაჩვენებელი (21%) განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს იმის მიხედვით, საველე სამუშაო საპროტესტო ტალღამდე ჩატარდა თუ მის შემდეგ. მესამე, ონლაინ ფოკუსჯგუფებში პოლიტიკურად მგრძნობიარე თემებზე საუბრისას მონაწილეებმა შესაძლოა საკუთარი გამოცდილება და შეხედულებები შეზღუდულად გამოხატეს; ეს გასათვალისწინებელია შიშის თემის ინტერპრეტაციისას.

სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობის აღქმა

დისკუსიების დასაწყისში მონაწილეებს შევთავაზეთ ორი ურთიერთსაპირისპირო ფორმულირება: ერთი მათგანი სახელმწიფოსა და მოქალაქეს მშობლისა და ბავშვის ურთიერთობას ადარებდა, მეორე კი მთავრობას მოქალაქეების მიერ დაქირავებულ და მათ მიერ კონტროლირებად ინსტიტუტად წარმოადგენდა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდების დამოკიდებულება სახელმწიფოს როლის მიმართ იშვიათად თავსდება მკაფიო დაყოფაში - „მზრუნველი მშობელი“ ან „მოქალაქეების მიერ დაქირავებული მთავრობა“. მონაცემები არ გვაძლევს საფუძველს, ახალგაზრდები უბრალოდ „პატერნალისტებად“ და „არაპატერნალისტებად“ დავყოთ. უფრო გავრცელებული ჩანს ჰიბრიდული დამოკიდებულება: სახელმწიფოს ძლიერი სოციალური პასუხისმგებლობა და მოქალაქეების პოლიტიკური ავტონომია. მოთხოვნა, რომ სახელმწიფო „ზრუნავდეს“, ახალგაზრდებისთვის ყოველთვის არ ნიშნავს მისთვის გადაწყვეტილებების სრული უფლების გადაცემას.

თბილისში მცხოვრები 24–29 წლის მონაწილეთა შორის მოქალაქე-ბავშვის მოდელის მიმართ საკმაოდ მკაფიო დისტანცირება გამოჩნდა. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავდა, რომ არც ის მოსაზრება იყო მისაღები, რადგან, მისი აზრით, „რეალურად ჩვენი დაქირავებულია მთავრობა და ხალხს უფრო უნდა ემორჩილებოდეს მთავრობა“. ამ პოზიციაში მოქალაქე უკვე აღარ არის სახელმწიფო ზრუნვის პასიური ობიექტი. სახელმწიფო წარმოდგენილია როგორც ხალხის მიერ შექმნილი ინსტიტუტი, რომლის ლეგიტიმურობაც მოქალაქეთა ნების გათვალისწინებას ეფუძნება. მსგავსი დამოკიდებულება გამოიკვეთა სხვა ჯგუფებშიც. სოფლად მცხოვრები 24–29 წლის ერთ-ერთი მონაწილე ამბობდა, რომ მთავრობა „თვითონ ხალხს უნდა ემსახურებოდეს“, რადგან მისი ფუნქციონირება და ანაზღაურებაც საბოლოოდ მოქალაქეთა რესურსებს ეყრდნობა. მისი თქმით, „ხალხი უხდის ამ მოსამსახურეობაში და უნდა გაითვალისწინოს მთავრობამ ხალხის აზრი“.

თუმცა ამავე დისკუსიებში სახელმწიფო მხოლოდ მოქალაქეთა მიერ კონტროლირებად ადმინისტრაციულ ინსტიტუტად არ არის წარმოდგენილი. მის მიმართ არსებობს საკმაოდ ძლიერი მზრუნველობითი მოლოდინიც. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს სოფლად მცხოვრებ 18–23 წლის ახალგაზრდების ჯგუფში გამოჩნდა. ერთ-ერთმა მონაწილემ პირდაპირ თქვა: „მოსახლეობას მაინც მოვლა სჭირდება როგორც პატარა ბავშვს... ასეთი მცირერიცხოვანი ქვეყანა ვართ... არ უნდა ჭირდეს სადღაც 3 მილიონი ადამიანის მოვლა და პატრონობა.“ (სოფელი, 18–23 წლის)

სოფლად მცხოვრები უფროსი ასაკობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილეც მთავრობის ძირითად ფუნქციას მოქალაქეზე ზრუნვაში ხედავდა: მისი თქმით, „ხალხი ირჩევს... მთავრობას და მთავრობა უნდა ზრუნავდეს ყოველთვის ხალხზე და არა პირიქით“. (სოფელი, 24-29 წლის). თუმცა ამ გამონათქვამში ზრუნვის ვალდებულება არჩევნებს უკავშირდება: მთავრობა ხალხზე ზრუნვას იმიტომ ევალება, რომ ხალხმა აირჩია. ეს ლოგიკა უფრო მეტად მზრუნველ-დელეგირებით მოდელს შეესაბამება, ვიდრე მორჩილებითს: მოქალაქე ხელისუფლებას ირჩევს და მისგან შედეგს ითხოვს. სიტყვები „და არა პირიქით“ მიუთითებს, რომ მონაწილე მოქალაქისა და ხელისუფლების იერარქიას მოქალაქის სასარგებლოდ აწყობს.

თუმცა ამ პასუხების ავტომატურად პატერნალიზმად კლასიფიცირება ზედმეტად გამარტივებული იქნებოდა. მონაწილეთა საკმაოდ დიდი ნაწილი სახელმწიფოს მზრუნველობით ფუნქციას მოქალაქეთა პოლიტიკური ავტონომიის უარყოფის გარეშე აღიარებს. სხვა ქალაქებში მცხოვრები 24–29 წლის ერთ-ერთი მონაწილე სწორედ ამ შუალედურ პოზიციას აღწერდა: „მეც მეორე დებულებას უფრო დავეთანხმები, მაგრამ ნაწილობრივ პირველი მოსაზრებაც მართალია... სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს ყველა მოქალაქეზე... მაგრამ ხალხიც უნდა ერეოდეს სახელმწიფოს გადაწყვეტილებებში.“ (სხვა ქალაქები, 24–29, მონაწილე 5)

შესაბამისად, ახალგაზრდების პასუხებში უფრო ხშირად გვხვდება არა კლასიკური პოლიტიკური პატერნალიზმი, არამედ ჰიბრიდული მოდელი - მზრუნველი სახელმწიფო და ავტონომიური მოქალაქე ერთდროულად. სახელმწიფოსგან სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნა ახალგაზრდებისთვის ყოველთვის არ ნიშნავს ხელისუფლებისადმი მორჩილებას ან მოქალაქის პოლიტიკური როლის უარყოფას.

სად მთავრდება სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და იწყება მოქალაქის როლი?

პატერნალისტური დამოკიდებულების უფრო ღრმა გამოვლინება მაშინ ჩანს, როდესაც საუბარი აბსტრაქტული „ზრუნვიდან“ კონკრეტული საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარებაზე გადადის. სწორედ აქ იკვეთება, რამდენად ფართოდ ესმით ახალგაზრდებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და რა როლს იტოვებენ მოქალაქისთვის.

თითქმის ყველა ჯგუფში მონაწილეები სახელმწიფოს საზოგადოებრივი პრობლემების მთავარ მომგვარებლად განიხილავდნენ. ეს დამოკიდებულება განსაკუთრებით მკაფიო იყო ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე საუბრისას. სოფლად მცხოვრები 24–29 წლის ჯგუფში დასაქმებაც კი ზოგიერთმა მონაწილემ სახელმწიფოს უშუალო მოვალეობად დაასახელა. ერთ-ერთი მათგანი ამ საკითხში პასუხისმგებლობას სრულად მთავრობას აკისრებს: „ვალდებულება არის, რავი, 100-დან 100... შეუქმენი შენს მოქალაქეს ის გარემო და მიეცი სამუშაო.“ (სოფელი, 24–29 წლის)

თუმცა პასუხისმგებლობის სახელმწიფოზე გადატანა ყველა შემთხვევაში მოქალაქის სრული გამოთიშვით არ მთავრდება. რამდენიმე ჯგუფში გამოიკვეთა მოდელი, რომლის მიხედვითაც მოქალაქის ფუნქცია პრობლემის დანახვა, მისი გაჟღერება და შესაბამის ინსტიტუტამდე მიტანაა, ხოლო პრობლემის უშუალო გადაწყვეტა სახელმწიფოს პასუხისმგებლობად რჩება. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, „საზოგადოებრივი პრობლემები მთავრობამ უნდა მოაგვაროს. მაგრამ ხალხის ხმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს... თუ ჩვენ არ გავაჟღერეთ, მერე უკვე მათი ვალდებულება იქნება ამის მოგვარება.“ (სოფელი, 18–23 წლის)

ასეთი დამოკიდებულება სრულ პასიურობას არ ნიშნავს. მოქალაქე აქ პრობლემის ამომცნობი და მოთხოვნის გამჟღერებელია. თუმცა მისი როლი მაინც შედარებით შეზღუდულია: ინიციატივის, თვითორგანიზებისა და პრობლემის დამოუკიდებლად ან კოლექტიურად მოგვარების შესაძლებლობა ნაკლებად ჩანს.

სწორედ ამ მიდგომას აკრიტიკებდა თბილისის უფროსი ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე. მისი თქმით, როდესაც საზოგადოებაში დომინირებს დამოკიდებულება, რომ ყველაფერი მთავრობამ უნდა მოაგვაროს, მოქალაქეები სახელმწიფოს ანიჭებენ იმ

პრობლემების გადაწყვეტის უფლებასა და პასუხისმგებლობასაც, რომელთა შეცვლა თავადაც შეუძლიათ. მაგალითად მას გარემოს დაბინძურება მოჰყავდა და აღნიშნავდა, რომ ისეთი ქცევებისთვის, როგორიცაა ქუჩაში ნარჩენის არ გადაგდება, სახელმწიფო რეგულაცია არ უნდა იყოს ერთადერთი საყრდენი.

ეს კონტრასტი ფოკუს-ჯგუფების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან განსხვავებას ავლენს. მონაწილეები ხშირად აღიარებენ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, მაგრამ სხვადასხვაგვარად ესმით მოქალაქის საკუთარი როლი. ერთ შემთხვევაში მოქალაქე პრობლემის მოგვარების თანამონაწილეა; მეორე შემთხვევაში მისი როლი მოთხოვნის დაფიქსირებით შემოიფარგლება; მესამე შემთხვევაში კი მოქალაქე ელოდება „ვიღაცის“ მოქმედებას.

აქედან გამომდინარე, პატერნალიზმის ანალიზისთვის უფრო პროდუქტიულია არა კითხვა - ელოდება თუ არა ახალგაზრდა სახელმწიფოსგან პრობლემის მოგვარებას? - არამედ კითხვა: რა როლს ტოვებს იგი ამ პროცესში საკუთარი თავისთვის?

თუ სახელმწიფო ასრულებს იმ ფუნქციებს, რომლებიც მის კომპეტენციაშია, ეს თავისთავად არ ნიშნავს პოლიტიკურ პატერნალიზმს. პატერნალისტური დამოკიდებულება უფრო მკაფიო ხდება მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი პრობლემის განსაზღვრის, გადაწყვეტისა და მოქმედების პასუხისმგებლობა მთლიანად სახელმწიფოზე გადადის და მოქალაქე საკუთარ თავს მოქმედ სუბიექტად აღარ განიხილავს.

მზრუნველობა არ ნიშნავს მოქალაქის ხმის გაუქმებას - პროცედურული პატერნალიზმის უარყოფა

ფოკუს ჯგუფების ფარგლებში მონაწილეებს ვთავაზობდით ჰიპოთეტურ სიტუაციას (ვინეტს) და ვეკითხებოდით, რა რეაქცია ჰქონდათ ამასთან დაკავშირებით. ვინეტის თანახმად, მუნიციპალიტეტი აცხადებს ახალ ახალგაზრდულ პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ ის შექმნილია ახალგაზრდების დასაცავად, დაძაბულობის შესამცირებლად და წესრიგის შესანარჩუნებლად. თუმცა, ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის აზრი არ უკითხავთ. როდესაც ახალგაზრდების მცირე ჯგუფი ღია საჯარო განხილვას ითხოვს, ოფიციალური პირები პასუხობენ, რომ ახლა ამის დრო არ არის და პასუხისმგებლიანი მოქალაქეები უნდა ენდობოდნენ ინსტიტუტებს

ამ სავარჯიშომ მნიშვნელოვანი განსხვავება გამოავლინა: ახალგაზრდებს შეიძლება ჰქონდეთ ძლიერი მოლოდინი სახელმწიფოს მზრუნველობით ფუნქციაზე, მაგრამ ამავე დროს არ მიიღონ გადაწყვეტილების მიღებიდან მოქალაქის გამორიცხვა. ყველა ფოკუს ჯგუფში მონაწილეები თანხმდებოდნენ, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა. ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, რომ

„ვისთვისაც აკეთებ, იმას თუ არ ეკითხები საერთოდ რა უნდა და როგორ უნდა, ეგ არის... აბსურდი.“ (თბილისი, 18–23 წლის)

ეს შედეგი გვაძლევს საშუალებას ერთმანეთისგან გავმიჯნოთ შედეგობრივი მზრუნველობა და პროცედურული პატერნალიზმი. ახალგაზრდამ შეიძლება სახელმწიფოსგან ფართო სოციალური პასუხისმგებლობა მოითხოვოს, მაგრამ იმავდროულად მოითხოვდეს საკუთარ მონაწილეობას, კონსულტაციასა და ანგარიშვალდებულებას.

ამგვარად, მხოლოდ კითხვით - „უნდა იზრუნოს თუ არა მთავრობამ ადამიანებზე მშობელივით?“ - პატერნალისტური მოქალაქეობის სრულად გაზომვა რთულია. მნიშვნელოვანია დამატებით გაიზომოს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის მოლოდინი და, მეორე მხრივ, მოქალაქეთა მონაწილეობის, კონსულტაციის, გადაწყვეტილებებზე გავლენისა და ხელისუფლების კონტროლის მოთხოვნა.

„აქტიური ახალგაზრდის“ აღქმა

ფოკუსჯგუფების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიგნება უკავშირდება თავად აქტიურობის გაგებას. „აქტიური ახალგაზრდის“ აღწერისას, პასუხები ყოველთვის არ უკავშირდებოდა საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ მონაწილეობას.

თბილისში მცხოვრები 24–29 წლის ახალგაზრდების ჯგუფში აქტიურობა თავდაპირველად უფრო პირადი განვითარებით განიმარტა. მონაწილეები საუბრობდნენ განათლებაზე, პროფესიულ საქმიანობაზე, მუდმივ თვითგანვითარებაზე, ჰობის ქონასა და საკუთარი ინტერესებით დაკავებაზე. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავდა: „აქტიური ადამიანი შეიძლება იყოს აპოლიტიკურიც.“ (თბილისი, 24–29 წლის)

ამგვარი გაგებით, ახალგაზრდას შეუძლია იყოს აქტიური ინდივიდუალურ ცხოვრებაში - სწავლობდეს, მუშაობდეს, ვითარდებოდეს - და ამავე დროს თითქმის საერთოდ არ მონაწილეობდეს საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტაში. შესაბამისად, სოციალური აქტიურობა და სამოქალაქო აქტიურობა მონაწილეთა ცნობიერებაში ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა.

თბილისის 18–23 წლის ჯგუფში აღქმები განსხვავებულია. აქ აქტიური ახალგაზრდის აღწერაში ბუნებრივად ჩნდება საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების ცოდნა და საკუთარი პოზიციის გამოხატვა. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, „აქტიური ახალგაზრდა ჩემთვის ასოცირდება ადამიანთან, რომელიც ერთვება სხვადასხვა აკადემიურ სივრცეში, მის აზრს გამოხატავს სხვადასხვა საკითხზე... და უნდა იცოდეს, რა ხდება იმ საზოგადოებაში, რომელშიც ცხოვრობს.“ (თბილისი, 18–23 წლის)

სხვა ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდა ჯგუფის მონაწილეც აქტიურობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ცოდნასა და საკუთარი პოზიციის ღიად გამოხატვას უკავშირებდა. მისი განმარტებით, აქტიური ახალგაზრდა არის ადამიანი, რომელმაც „რაღაც იცის და ესმის უკვე ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და თავისი პოზიციის დაფიქსირება შეუძლია“. (სხვა ქალაქები, 18-23 წლის)

სოფლად მცხოვრები უფროსი ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე კი აქტიურ ახალგაზრდას თავდაპირველად „სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ“ სხვადასხვა პროგრამებში ჩართულ ადამიანად წარმოიდგენდა - იქნება ეს ქველმოქმედება, განმავითარებელი პროგრამა თუ მუნიციპალიტეტისთვის სასარგებლო აქტივობა. მხოლოდ დამატებითი ჩაკითხვის შემდეგ აღნიშნა, რომ აქტიურობა ახალგაზრდის საკუთარი ინიციატივით შექმნილ საქმიანობასაც მოიცავს.

ამ განსხვავებული პასუხებიდან ჩანს, რომ „აქტიური ახალგაზრდის“ კატეგორია მინიმუმ სამ განსხვავებულ შინაარსს აერთიანებს. პირველი არის ინდივიდუალური აქტიურობა - სწავლა, შრომა და თვითგანვითარება; მეორე - სოციალური აქტიურობა, რომელიც სხვადასხვა პროგრამებში, ღონისძიებებსა და მოხალისეობაში მონაწილეობას მოიცავს; მესამე კი სამოქალაქო და პოლიტიკური აქტიურობაა - საზოგადოებრივი პრობლემების მიმართ პოზიციის დაფიქსირება და მათზე გავლენის მცდელობა.

კვლევის ცენტრალური პრობლემისათვის ეს განსხვავება მნიშვნელოვანია, რადგან ახალგაზრდის პასიურობაზე საუბრისას აუცილებელია დაზუსტდეს, კონკრეტულად რომელ სფეროში არის იგი პასიური. ფოკუსჯგუფების მონაწილეთა ნაწილი სამოქალაქო აქტიურობას საერთოდ არ განიხილავს „აქტიური ახალგაზრდის“ აუცილებელ ნიშნად. შესაბამისად, დაბალი სამოქალაქო მონაწილეობა ყოველთვის საერთო სოციალური პასიურობის მაჩვენებელი არ არის.

სამოქალაქო პასიურობასთან დაკავშირებული გამოცდილებები

თუ სახელმწიფოზე ფართო პასუხისმგებლობის მოლოდინი პატერნალიზმის ერთ-ერთ შესაძლო ფორმას წარმოადგენს, სამოქალაქო პასიურობის შესახებ საუბრისას კიდევ უფრო თანმიმდევრულად ჩნდება სხვა მექანიზმი - განცდა, რომ საკუთარი მოქმედება რეალურ შედეგს ვერ მოიტანს.

თბილისის 18–23 წლის ჯგუფში ერთ-ერთმა მონაწილემ ეს პროცესი თითქმის თანმიმდევრული მიზეზობრივი ჯაჭვის სახით აღწერა. მისი თქმით, ახალგაზრდას შეიძლება ჰქონდეს თვითმმართველობაში მონაწილეობის გამოცდილება, მაგრამ თუ მან დაინახა, რომ „აზრი არ ჰქონდა იქ ყოფნას“, ვერაფერი შეცვალა და ეს გამოცდილება

„ერთხელ, ორჯერ, სამჯერ“ განმეორდა, შესაძლოა საბოლოოდ საერთოდ დაკარგოს სურვილი, კვლავ მიიღოს მონაწილეობა.

იმავე ჯგუფის სხვა მონაწილე საკუთარ გამოცდილებაზე საუბრისას პირდაპირ ამბობს, რომ ხშირად ვერც თვითონ ხედავს აზრს საკუთარი პოზიციის ხმამაღლა დაფიქსირებაში, როდესაც დარწმუნებული არ არის, რომ ამ პოზიციას რაიმე კონკრეტული შედეგი ექნება. მისი თქმით, ასეთ პირობებში ადამიანს არც სურვილი უჩნდება, რომ „რაღაც წნეხი აიტანოს იმისთვის, რომ ვერაფერი ვერ შეცვალო“.

ამ პასუხებში პასიურობის წყარო მოქალაქის პასუხისმგებლობის უარყოფა არ არის. პირიქით, ადამიანს შეიძლება ესმოდეს, რომ მონაწილეობა საჭიროა, მაგრამ მისთვის მონაწილეობის ღირებულებას შედეგის მოლოდინი განსაზღვრავს. თუ ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ ინსტიტუტები მათ მოთხოვნებზე არ რეაგირებენ, სამოქალაქო ქმედება თანდათან კარგავს სუბიექტურ აზრს.

ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატერნალიზმისა და პასიურობის ერთმანეთისგან გასამიჯნად. ახალგაზრდა შეიძლება საერთოდ არ ფიქრობდეს, რომ „მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს“, და მაინც დარჩეს პასიური, თუ მიიჩნევს, რომ მისი ხმა არავის ესმის. ასეთ შემთხვევაში პრობლემა პასუხისმგებლობის გადაცემაში კი არა, პოლიტიკური და სამოქალაქო ეფექტიანობის დაბალ განცდაშია.

შიში, ეკონომიკური დამოკიდებულება და მონაწილეობის ფასი

ეფექტიანობის დაბალ განცდასთან ერთად მკაფიოდ გამოიკვეთა მონაწილეობის კიდევ ერთი შემაფერხებელი ფაქტორი - შესაძლო პირადი ან ოჯახური დანაკარგის განცდა.

თბილისის 18–23 წლის ჯგუფში ერთ-ერთი მონაწილე მეგობრის გამოცდილების მაგალითით აღწერდა ვითარებას, როდესაც ახალგაზრდას აქტიურობა შესაძლოა ოჯახის ეკონომიკურ უსაფრთხოებასთან დაეკავშირებინა. მისი თქმით, ზოგიერთ ახალგაზრდას „დედა ყავს ან მამა ყავს დასაქმებული ისეთ ადგილას“, სადაც მათი პოლიტიკური აქტიურობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში შეიძლება ოჯახის წევრი გათავისუფლდეს და ოჯახს „შემოსავლის წყარო დააკლდეს“. მონაწილე სწორედ ამას ასახელებდა ახალგაზრდების აქტიურობის შემაფერხებელ ერთ-ერთ მთავარ მიზეზად.

მსგავსი შიშის განცდა სოფლად მცხოვრები 24–29 წლის ახალგაზრდების ჯგუფშიც გამოიკვეთა. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავდა, რომ დღეს ახალგაზრდებს შესაძლოა საკუთარი აზრის ხმამაღლა გამოხატვის საშუალება ჰქონდეთ, მაგრამ „უმრავლესობა მაინც შიშის მარწუხებშია“ და შესაძლო შემდგომი შედეგების გამო საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას ვერ ბედავს.

ამ ტიპის პასუხების ინტერპრეტაციისას აუცილებელია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ მონაწილეთა აღქმა და კონკრეტული მოვლენების დამოუკიდებელი ფაქტობრივი დადასტურება. ფოკუსჯგუფები გვიჩვენებს იმას, თუ როგორ აღიქვამენ ახალგაზრდები გარემოს და როგორ მოქმედებს ეს აღქმა მათ ქცევაზე. იმისთვის, რომ შიშმა მონაწილეობა შეამციროს, აუცილებელი არც არის, ყველა მოსალოდნელი სანქცია რეალურად განხორციელდეს - საკმარისია, ახალგაზრდა მას შესაძლებლად და სარწმუნოდ მიიჩნევდეს.

ეკონომიკური დამოკიდებულებაც ამ კონტექსტში მხოლოდ სოციალური მოწყვლადობის ზოგადი მაჩვენებელი აღარ არის. ის ზრდის მონაწილეობის სუბიექტურ ფასს. როდესაც საკუთარი ან ოჯახის შემოსავალი მყიფედ აღიქმება, მოქალაქეობრივი აქტიურობა შესაძლოა გადაიქცეს არჩევანად საზოგადოებრივ პოზიციასა და პირად უსაფრთხოებას შორის.

ამიტომ ეკონომიკური რესურსების გავლენა ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობაზე მინიმუმ ორი გზით შეიძლება გამოვლინდეს. ერთი მხრივ, მუშაობა, სწავლა და ყოველდღიური ფინანსური ვალდებულებები პირდაპირ ამცირებს მონაწილეობისათვის ხელმისაწვდომ დროსა და ენერგიას. მეორე მხრივ კი, ეკონომიკური დამოკიდებულება ზრდის შესაძლო დანაკარგის განცდას და, შესაბამისად, თვითშეზღუდვის ალბათობას.

„მე ერთი რას შევცვლი“ - ინდივიდუალური პასიურობიდან კოლექტიური უმოქმედობისკენ

ფოკუსჯგუფებში აქტიურობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა სხვების მონაწილეობაა. რამდენიმე მონაწილე საკუთარ მოტივაციას პირდაპირ უკავშირებდა განცდას, რომ მის გვერდით სხვა ადამიანებიც მოქმედებენ.

სხვა ქალაქებში მცხოვრები 18–23 წლის ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც თავად აღწერდა საპროტესტო აქტივობაში მონაწილეობას, ამბობდა, რომ მოტივაციას კარგავდა მაშინ, როდესაც ხედავდა ადამიანებს, რომლებიც სიტყვიერ მხარდაჭერას გამოხატავდნენ, მაგრამ თავად მოქმედებაში არ ერთვებოდნენ. მისი თქმით, როდესაც ხედავდა, რომ „ვიღაც ხალხი მამხნევებს [მაგრამ] სახლში ზის“, თავადაც „მუღამი და ჟინი“ ეკარგებოდა. იგივე მონაწილე აღწერდა ინდივიდუალური უმოქმედობის გავრცელებულ ლოგიკას - „მე რომ არ წავიდე, ერთი კაცი რა ამით დაშავდება“ - და აღნიშნავდა, რომ როდესაც ამგვარად ათასობით ადამიანი ფიქრობს, საბოლოოდ კოლექტიური მოქმედების მასშტაბი მცირდება.

ეს მიგნება კვლევაში კოლექტიური ეფექტიანობის მნიშვნელობას აჩენს. მოქალაქისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ რწმენა, რომ პირადად შეუძლია რაღაცის გაკეთება. მნიშვნელოვანია ასევე რწმენა, რომ სხვებიც შეუერთდებიან, რომ ჯგუფური მოქმედება საკმარის მასშტაბს მიაღწევს და ამ ძალისხმევას საერთო შედეგი ექნება.

ამგვარად, ინდივიდუალური პასიურობა ზოგჯერ თავად ხდება სხვა ადამიანების პასიურობის მიზეზი. თუ ბევრი ადამიანი ელოდება, რომ პირველ ნაბიჯს სხვა გადადგამს, შედეგად იქმნება თვითგამაძლიერებელი წრე: სხვების უმოქმედობის მოლოდინი ამცირებს საკუთარ მოქმედებას, ხოლო ინდივიდუალური უმოქმედობა კიდევ უფრო აძლიერებს სხვების განცდას, რომ კოლექტიური მობილიზაცია ვერ შედგება.

ოჯახისა და გარემოცვის გავლენა

კვლევის საწყისი დიზაინი ოჯახს პატერნალისტური დამოკიდებულებების თაობათაშორისი გადაცემის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ განიხილავდა. ფოკუსჯგუფები ოჯახის მნიშვნელობას მკაფიოდ ადასტურებს, თუმცა მის გავლენას ერთმნიშვნელოვნად პატერნალისტურს ვერ ვუწოდებთ.

ზოგიერთ ნარატივში ოჯახი მართლაც არის სივრცე, სადაც ახალგაზრდას უფროსისადმი მორჩილება, სიფრთხილე და საკუთარი შესაძლებლობების მიმართ ეჭვი შეიძლება ჩამოუყალიბდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩანს ისეთი ყოველდღიური გზავნილები, რომლებიც ახალგაზრდის აზრს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს ან დამოუკიდებელ მოქმედებას რისკთან აკავშირებს.

თუმცა სრულიად საპირისპირო გამოცდილებაც გვხვდება. თბილისის 24–29 წლის ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე ოჯახის მხარდაჭერას პირდაპირ უკავშირებდა თავდაჯერებასა და ქმედითობას. მისი თქმით, „უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოჯახიდან წამოსულ მხარდაჭერას“ და ოჯახმა ახალგაზრდას უნდა მისცეს როგორც მიმართულება, ისე „გამბედაობა, რომ რაღაცეების გაკეთება შეგიძლია“.

ამგვარად, ოჯახი უფრო ზუსტად შეიძლება განვიხილოთ არა როგორც პატერნალიზმის ავტომატური გადამცემი, არამედ როგორც მოქალაქეობრივი ქმედითობის პირველადი სოციალიზაციის სივრცე. სწორედ ოჯახში შეიძლება პირველად ჩამოყალიბდეს კითხვებზე პასუხი: აქვს თუ არა ბავშვის აზრს მნიშვნელობა? შეიძლება თუ არა უფროსის გადაწყვეტილების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება? შეუძლია თუ არა ახალგაზრდას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება? შეცდომა დასჯის მიზეზია თუ სწავლის შესაძლებლობა? რამდენად მისაღებია ინიციატივა?

ამ კითხვებზე ყოველდღიური პასუხები მომავალში შეიძლება აისახოს იმაზე, როგორ ხედავს ახალგაზრდა საკუთარ ადგილს სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან ურთიერთობაში.

საგანმანათლებლო ინსტიტუტების როლი: სამოქალაქო განათლება, როგორც პასიური გადაცემა

ოჯახის მსგავსად, განათლების სისტემა ფოკუსჯგუფებში წინააღმდეგობრივი ინსტიტუტის სახით ჩნდება. ერთი მხრივ, არაერთი მონაწილე სკოლასა და უნივერსიტეტს აღწერს როგორც სივრცეს, სადაც ინიციატივა, დამოუკიდებელი აზროვნება და საკუთარი პოზიციის გამოხატვა საკმარისად არ იყო წახალისებული.

თბილისის უფროს ჯგუფში ერთ-ერთი მონაწილე სკოლის სისტემას განსაკუთრებით უარყოფითად აფასებდა და ამბობდა, რომ იქ „არანაირი დამოუკიდებელი აზროვნება“ და „არანაირი შენი აზრის გამოხატულება“ არ არის და მოსწავლეს ძირითადად ისე მოქმედება მოეთხოვება, „როგორც გეუბნებიან, ისე როგორც გასწავლიან“.

თბილისის ახალგაზრდა ჯგუფში მონაწილეებიც საუბრობდნენ შემთხვევებზე, როდესაც სკოლაში განსხვავებული აზრის გამოხატვას მასწავლებლების უარყოფითი რეაქცია მოჰყვებოდა. ერთ-ერთი მათგანის თქმით, როდესაც ისინი საკითხებს განსხვავებულად აფასებდნენ, მასწავლებლები ეუბნებოდნენ, რომ „არასწორები ვიყავით და არ უნდა გვეთქვა ეს ხმამაღლა“.

თუმცა სწორედ განათლების შესახებ დისკუსია იძლევა ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო საწინააღმდეგო მაგალითსაც. სხვა ქალაქებში მცხოვრები 24–29 წლის ერთ-ერთი მონაწილე საკუთარ სკოლას სრულიად განსხვავებულად იხსენებს. ის აღნიშნავს, რომ სწავლობდა სამოქალაქო განათლებას, სკოლაში გაიგო საკუთარი უფლებების შესახებ, იყო მრავალ პროექტში ჩართული და სკოლამ „ძალიან კარგი თავდაჯერებულობაც“ შესძინა, მათ შორის საზოგადოების წინაშე გამოსვლის გამოცდილება.

ეს განსხვავებული ისტორიები აჩვენებს საგანმანათლებლო გამოცდილების არაერთგვაროვნებას. ერთსა და იმავე ფორმალურ სისტემაში ახალგაზრდებს შეიძლება სრულიად განსხვავებული გამოცდილება ჰქონდეთ - დამოკიდებულია სკოლაზე, მასწავლებელზე, უნივერსიტეტზე, პროგრამებზე და იმაზე, რამდენად ეძლევათ რეალური გადაწყვეტილების მიღებისა და ინიციატივის შესაძლებლობა.

მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაძლოა საკმარისი არ იყოს. ქმედითობის განცდა უფრო მეტად ყალიბდება მაშინ, როდესაც ახალგაზრდას რეალურად ეძლევა შესაძლებლობა,

თავად დაგეგმოს პროექტი, საჯაროდ გამოთქვას აზრი, დაინახოს მისი ინიციატივის შედეგი და მიიღოს უკუკავშირი.

სამოქალაქო ჩართულობის შესაძლო სტიმულები და ხელშემწყობი ფაქტორები

თუ მონაწილე წარსულ უშედეგო გამოცდილებას აქტიურობის მოტივაციის შემცირებას უკავშირებს, შესაძლებელია მის საპირისპიროდაც ვივარაუდოთ, რომ აღქმული წარმატება მონაწილეობის სურვილს გააძლიერებდა.

ფოკუსჯგუფების საერთო ნარატივებიდან ჩანს, რომ სამოქალაქო ქმედითობა მხოლოდ აბსტრაქტული ცოდნით არ ყალიბდება. ახალგაზრდისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთარი გამოცდილებით ნახოს, რომ მის აზრს ყურადღება მიაქციეს, მისმა მოქმედებამ მცირე ცვლილება მაინც გამოიწვია, ან მასთან ერთად სხვა ადამიანებიც ჩაერთნენ.

ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს ორი ურთიერთსაპირისპირო ციკლი: უშედეგო მოქმედება → დაბალი ეფექტიანობა → შემდგომი მონაწილეობის სურვილის შემცირება და მოქმედება → ხილული შედეგი → ეფექტიანობის განცდა → შემდგომი მონაწილეობის ზრდა.

მნიშვნელოვანია ასევე სოციალური მხარდაჭერა. სხვა ჯგუფების პასუხებიც აჩვენებს, რომ ადამიანს გაცილებით უადვილდება მოქმედება, როდესაც გრძნობს, რომ მარტო არ არის და მის გვერდით მეგობრები, ოჯახის წევრები ან თანატოლები დგანან.

ამასთან, მონაწილეთა ნარატივებში ქმედითობის ყველაზე ხელმისაწვდომ სივრცედ ხშირად არა დიდი ეროვნული პოლიტიკა, არამედ შედარებით მცირე, კონკრეტული და ლოკალური საკითხები ჩანს. სწორედ ასეთ გარემოში ახალგაზრდას უფრო მარტივად შეუძლია დაინახოს კავშირი საკუთარ მოქმედებასა და შედეგს შორის. შეიძლება უფრო ეფექტიანი იყოს არა მხოლოდ ახალგაზრდებისთვის იმის სწავლება, რომ „აქტიურობა მნიშვნელოვანია“, არამედ ისეთი გამოცდილებების შექმნა, სადაც ისინი რეალურად ნახავენ, როგორ მუშაობს მათი მონაწილეობა.

დასკვნა

ექვსივე ფოკუსჯგუფის ერთობლივი ანალიზი საბოლოოდ აჩვენებს, რომ ახალგაზრდების სამოქალაქო პასიურობამდე მინიმუმ ორი განსხვავებული გზა მიდის.

პირველი შეიძლება აღვწეროთ როგორც პატერნალისტური პასუხისმგებლობის გადაცემის გზა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო განიხილება როგორც საზოგადოებრივი პრობლემების მთავარი მოქმედი სუბიექტი, ხოლო მოქალაქის ფუნქცია თანდათან მცირდება. მოქალაქეს შეუძლია ჰქონდეს მოთხოვნები, მაგრამ ნაკლებად აღიქვამს საკუთარ თავს პრობლემის გადაწყვეტის ინიციატორად ან თანამონაწილედ. ასეთი დამოკიდებულება მართლაც შეიძლება ხელს უწყობდეს სამოქალაქო პასიურობას.

მეორე გზა სრულიად განსხვავებულია და შეიძლება ეწოდოს დაბლოკილი ქმედითობის გზა. აქ ახალგაზრდას შეიძლება კარგად ესმოდეს მოქალაქის პასუხისმგებლობა, მხარს უჭერდეს მთავრობის კონტროლს, მიაჩნდეს, რომ საკუთარი აზრის გამოხატვა აუცილებელია და თვითონაც სურდეს მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, იგი პასიური ხდება, რადგან გამოცდილებით ან აღქმით მივიდა დასკვნამდე, რომ ინსტიტუტები არ რეაგირებენ, შედეგის მიღწევის ალბათობა დაბალია, სხვა მოქალაქეების მხარდაჭერა არასაკმარისია ან მონაწილეობის პირადი და ეკონომიკური ფასი ზედმეტად მაღალია.

შესაბამისად, კვლევის საწყის კითხვაზე - როგორ უკავშირდება პატერნალიზმი სამოქალაქო პასიურობას - პასუხი დიფერენცირებულია. პატერნალიზმი პასიურობის ერთ-ერთი შესაძლო წყაროა, თუმცა არა ერთადერთი. სახელმწიფოსგან სოციალური ზრუნვის მოლოდინი არ არის მოქალაქის პასიურობის ან პოლიტიკური მორჩილების საკმარისი ინდიკატორი. მონაწილეთა მსჯელობაში ზრუნვის მოლოდინი ძირითადად სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობის კონკრეტულ გაგებას გამოხატავს, რომელშიც სახელმწიფო საზოგადოებრივი პრობლემების მთავარი ადრესატია, ხოლო მოქალაქე - ამომრჩეველი, მოთხოვნის გამჟღერებელი და, ზოგ შემთხვევაში, გადაწყვეტილებების მაკონტროლებელი. ახალგაზრდების სამოქალაქო პასიურობა საქართველოში ყოველთვის არ გამოხატავს სახელმწიფოსადმი მორჩილებას ან მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის უარყოფას. ხშირად იგი წარმოადგენს კრიტიკულად განწყობილი, მაგრამ დაბალი ეფექტიანობის, მაღალი რისკის განცდისა და არასაკმარისი კოლექტიური მხარდაჭერის მქონე მოქალაქის რეაქციას გარემოზე.

ამიტომ სამოქალაქო პასიურობის შესწავლისას საჭიროა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს კითხვა - „ვის ეკუთვნის პასუხისმგებლობა?“ და კითხვა - „სჯერა თუ არა ადამიანს, რომ მის მოქმედებას შეუძლია შედეგის მოტანა?“ პირველი უფრო უშუალოდ პატერნალიზმს უკავშირდება, მეორე კი სამოქალაქო ეფექტიანობას. ფოკუს-ჯგუფები აჩვენებს, რომ ახალგაზრდების რეალური ქცევის გასაგებად ორივე განზომილების ერთდროულად გათვალისწინებაა საჭირო.